საქართველოს
პარლამენტი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

№ 2777
27.12.2016

საქართველოს პარლამენტის
ადამიანის უფლებათა დაცვისა
და სამოქალაქო ინტეგრაციის
კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ სოფიო კილაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმისა და „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის საქართველოს მიერ იმპლემენტაციის შესახებ“ (N388;28.11.2016) საქართველოს სახელმწიფო ანგარიშების პირველად პროექტებზე

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის, ასევე „ბავშვთა პორნოგრაფიის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის საქართველოს მიერ იმპლემენტაციის შესახებ“ (N388;28.11.2016) საქართველოს სახელმწიფო ანგარიშის პირველადი პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

კომიტეტი მიესალმება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (228^2 მუხლი) 2016 წლის 24 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში გაეროს შესაბამისი კომიტეტისათვის წარსადგენი საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების ანგარიშის პროექტის წარმოდგენას განსახილველად. ეს არის საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში რეგლამენტის მითითებული დებულების აღსრულების პირველი პრეცედენტი. კომიტეტი განსაკუთრებულად პოზიტიურად აფასებს ამ ფაქტს და

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

პრეცედენტი. კომიტეტი განსაკუთრებულად პოზიტიურად აფასებს ამ ფაქტს და გამოხატავს მზაობას, მომავალშიც ნაყოფიერად გააგრძელოს ამ მიმართულებით საპარლამენტო მუშაობა; ასევე, აქვს მოლოდინი, რომ საქართველოს მთავრობაც, ასევე, წარმატებით გააგრძელებს ამ პროცესში მონაწილეობას.

ამასთან, გვაქვს შემდეგი სახის რეკომენდაცია:

წარმოდგენილ ანგარიშებში მიეთითოს, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (228[2] მუხლი) შეტანილი ახალი ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა განიხილა აღნიშნული ანგარიშის პროექტები საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში. ამ გზით, ხაზი გაესმება საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოების წინაშე ანგარიშგების პროცესში.

1. - **„შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის საქართველოს მიერ იმპლემენტაციის შესახებ საქართველოს სახელმწიფო ანგარიში**

„შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის (შემდგომში დამატებითი ოქმი) თანახმად, საქართველოს აქვს აღებული შემდეგი საერთაშორისო ვალდებულებები:

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი: არ დაუშვას 18 წლამდე ბავშვის პირდაპირი მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში; ასევე, არ გახადოს ისინი სამხედრო შეტევის პირდაპირი სამიზნეები; ომის დანაშაულად აღიაროს ბავშვების მიმართ ჩადენილი დანაშაულები შეიარაღებული კონფლიქტის დროს; დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი: არ დაუქვემდებაროს 18 წლამდე ბავშვი სავალდებულო გაწვევას საერთაშორისო და შიდა შეიარაღებულ კონფლიქტებში;

საქართველო შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ დამატებით ოქმს შეუერთდა 2010 წლის 3 სექტემბერს. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კომიტეტს წარუდგინოს აღნიშნული დოკუმენტის იმპლემენტაციის ამ დროისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიში უახლოეს პერიოდში.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშის პროექტში ასახულია ძალიან მნიშვნელოვანი და მოცულობითი ინფორმაცია მითითებული ოქმით აღებული ვალდებულებების საქართველოს მიერ შესრულების თაობაზე, კერძოდ, აღწერილია ყველა ის მნიშვნელოვანი და ძირითადი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც განახორციელეს შესაბამისმა პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა საანგარიშო პერიოდში.

ანგარიშში ხაზგასმულია მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის, როგორც კოორდინაციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა, საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020) მიღება, ამ სტრატეგიის საფუძველზე საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შემუშავება; მნიშვნელოვანია, ასევე, 2016 წლის დეკემბერში, საქართველოს მთავრობის მიერ უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის უფლებათა კონვენციის აღსრულების კოორდინაციაზე.

მისასალმებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია აღნიშნული დამატებითი ოქმის დებულებებთან და არსებული საკანონმდებლო ბაზა ამ დებულებების იმპლემენტაციის შესაძლებლობას ქმნის; კერძოდ, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი დებულებები; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი, 410-ე მუხლი, 411-413-ე მუხლები და სხვა ნორმატიული აქტები.

წარმოდგენილი ანგარიშის პროექტში გადმოცემულია იუსტიციის უმაღლესი სკოლის აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსამართლეების გადამზადებაზე ბავშვთა უფლებების საკითხებზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი შენიშვნა: მიზანშეწონილია, გაფართოვდეს ბენეფიციართა წრე და აღნიშნული სასწავლო კურსი ჩაუტარდეს ყველა იმ უწყებისა თუ ინსტიტუტის წარმომადგენლებს, რომელთა საქმიანობის არეალში ექცევა დამატებითი ოქმით გათვალისწინებული საკითხები.

ანგარიშში ვრცელი ადგილი ეთმობა, იმ საგანმანათლებლო საქმიანობას, რასაც ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვების სწავლების, სკოლის პედაგოგების გადამზადების, აბიტურიენტებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი შენიშვნა: როგორც ცნობილია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ადრეული და სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში არსებობს მთელი რიგი გამოწვევები განათლების მიწოდების ხარისხის თვალსაზრისით; განსაკუთრებით რთულად ხორციელდება ინკლუზიური განათლება; ერთი მხრივ, პრობლემურია მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის ადაპტაცია, მეორე მხრივ, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების მიწოდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის; კომიტეტი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ კანონის ამოქმედებას, მაგრამ ამასთან, მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული სიძნელეები მისი აღსრულების პროცესში მოსალოდნელია ოკუპირებულ ტერიტორიებზე; ანგარიშში

მოცემულია რეალისტური და შემაშფოთებელი ინფორმაციაა; კერძოდ, სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ცხოვრობენ საოკუპაციო ზოლის მიმდებარე ხშირად ექვემდებარებიან უკანონო ქმედებებს რუსეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან-მათ არ აქვთ შესაძლებლობა, დაესწრონ გაკვეთილებს და მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე. ხშირად, საფრთხის წინაშე დგება მათი ფიზიკური უსაფრთხოების საკითხიც.
სასურველია, საქართველოს მთავრობამ შეაფასოს არსებული მოცემულობა, დავინახოთ, რამდენად საკმარისია ის პროექტები, რასაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს განათლების ხარისხის ადგილზე გაუმჯობესების კუთხით, მოხდეს კონკრეტული გამოწვევების იდენტიფიცირება, მათ შორის, მოსწავლეების პირადი უსაფრთხოების საკითხების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად განისაზღვროს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მისაღები განსაკუთრებული ზომები ამ გამოწვევების საპასუხოდ, სასურველია, პასუხი გაეცეს კითხვებს, რა შედეგი გამოიღო უკვე განხორციელებულმა ღონისძიებებმა, რა ზომების განხორციელება იქნება რელევანტური და ეფექტური შემდეგში და რაც მთავარია, ობიექტურად შესაძლებელი. მიზანშეწონილია, იმ პრობლემებთან ერთად, რომელიც უკვე აღწერილია ანგარიშის პროექტში, წარმოდგენილ იქნას შესაბამისი სახელმწიფო ხედვა და სტრატეგია ამ პრობლემებთან საბრძოლველად, რომლის განხორციელებას გეგმავს სახელმწიფო შესაბამისი ვადების მითითებით. ასევე, განისაზღვროს ამ თემებზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის საჭიროება და შესაბამისი რესურსების მობილიზების საკითხი.

II - „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის საქართველოს მიერ იმპლემენტაციის შესახებ“ (N388;28.11.2016) საქართველოს სახელმწიფო ანგარიშების პირველად პროექტი

ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატურ ოქმს ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ საქართველო შეუერთდა 2005 წლის 28 ივლისს. ეს არის ერთ-ერთი საყურადღებო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს არსებით გარანტიებს ბავშვთა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად და შეუძლია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეების მოტანა მისი ეფექტურად აღსრულების შემთხვევაში.

ბავშვის უფლებათა ფაკულტატური ოქმის „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ მე-8 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაიცვან მსხვერპლი ბავშვების ინტერესები. ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ მსხვერპლ-ბავშვთა ინფორმირება მათი უფლებების (მათ შორის გამოძიების და სასამართლოს პროცესის) შესახებ, ასევე, მსხვერპლ ბავშვთა იურიდიული დახმარება სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე და სპეციალური პროცესუალური გარანტიების დაწესება.

ბავშვის უფლებათა ფაკულტატური ოქმის „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ მე-9 მუხლის თანახმად, მონაწილე

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა მოახდინონ დამატებითი ოქმით რეგულირებული დანაშაულის მსხვერპლების სრული სოციალური რეინტეგრაცია და სრული ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოჯანმრთელება, ასევე, დისკრიმინაციის გარეშე მიყენებული ზარალის კომპენსაციის სახით დაბრუნება.

დამატებითი ოქმის მე-10 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, წინასწარ აღკვეთოს, აღმოაჩინოს და მოახდინონ იმ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა, რომლებიც დამნაშავეები არიან ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პორნოგრაფიისა და ბავშვთა სექს-ტურიზმის საქმეში.

საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარმოდგენილი აღნიშნული ოქმის შესრულების ანგარიშის პროექტიც, ასევე, შეიცავს ძალიან ღირებულ, მნიშვნელოვან და მოცულობით ინფორმაციას სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების შესახებ.

ამასთან, გვაქვს შემდეგი სახის შენიშვნები:

1. აუცილებელია, ანგარიშმა მოიცვას კონკრეტული სტატისტიკა ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პორნოგრაფიის, ბავშვთა პროსტიტუციის დანაშაულების გავრცელების თაობაზე, შესაბამისი წლებისა და გეოგრაფიული დაფარვის არეალის მითითებით; დამატებით, სასურველია, გამოიკვეთოს ამ დანაშაულების გავრცელების ძირითადი ტენდენციები და გამომწვევი მიზეზები;
2. ასევე, ანგარიშმა უნდა ასახოს ინფორმაცია, რა ზომები მიიღო აღნიშნულ დანაშაულებთან მიმართებაში სამართალდამცავმა ორგანოებმა და რა საპროცესო გადაწყვეტილებებით დამთავრდა აღნიშნული საქმეების გამოძიება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, დავინახოთ, რამდენად ეფექტური, თანმიმდევრული და ადეკვატურია სახელმწიფო ბავშვის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლაში.
3. ასევე, მნიშვნელოვანია ანგარიშმა მოიცვას ინფორმაცია, სამართალდამცავ ორგანოებთან, მოსამართლეთა კორპუსთან, ადვოკატებთან კონსულტაციების გავლის შედეგად, ხომ არ გამოიკვეთა აღნიშნული დანაშაულების-ბავშვთა პროსტიტუცია, ვაჭრობა და პორნოგრაფია კვალიფიკაციის პრობლემები; მათ შორის, ხომ არ არის საჭირო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ან დამატებების მიღება; ეს პარლამენტს შესაძლებლობას მისცემდა, დაენახა დროული ზომების მიღების საჭიროება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
4. მიზანშეწონილია, ცალკე გამოიყოს და შესწავლილ იქნეს ის შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავ ორგანოებს მიეწოდა ინფორმაცია დამატებითი ოქმით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტზე და აღნიშნულს არ მიეცა შესაბამისი მსვლელობა. ამ გზით სრულად გამოირიცხება ასეთი ტიპის საქმეების რეაგირების გარეშე დატოვების შესაძლებლობა.
5. როგორც ზემოთ არის მითითებული, დამატებით ოქმში დიდი ადგილი ეთმობა დაზარალებული ბავშვის საპროცესო უფლებებს, მის ჩართულობას პროცესში, მისი პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას, იურიდიული დახმარების უფლებას და მიყენებული ზარალის ადეკვატური კომპენსაციის

უფლებას. იმდენად რამდენადაც, ანგარიშში საერთოდ არ არის ინფორმაცია კონკრეტული საქმეებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ, (რასაკვირველია, პერსონალური მონაცემების დაცვით), ფაქტობრივად ანგარიში არ იძლევა შესაძლებლობას, დავინახოთ, დაზარალებულის საპროცესო უფლებები რამდენად არის დაცული ოქმით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ანგარიშმა მოიცვას სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, პოზიტიური და ნეგატიური მხარეების გამოკვეთით;

6. წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახურს აქამდე არ მოუწია ბავშვთა პროსტიტუციის, ვაჭრობის და პორნოგრაფიის საქმეებზე დაზარალებულების დაცვა; მიზანშეწონილია, განიმარტოს, რამ გამოიწვია ამ დანაშაულებზე იურიდიული სამსახურისთვის მიმართვიანობის არარსებობა.
7. ანგარიშის პროექტის მიხედვით, 2006 წელს შექმნილი სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი უზრუნველყოფს დაცვას და მხარდაჭერას ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთათვის. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი ტრეფიკინგის მსხვერპლებს უზრუნველყოფს: ა) თავშესაფრით; ბ) იურიდიული დამხარებით; გ) ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარებით; დ) მსხვერპლის რეაბილიტაციით და რეინტეგრაციით.
სამწუხაროდ, ანგარიშში მოცემულია მხოლოდ ინფორმაცია ამ ფონდის მიმართულებების შესახებ; მიზანშეწონილია, ანგარიშში აისახოს, ფონდის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიღწევები, ბენეფიციართა რაოდენობა, კონკრეტული პრობლემები და გამოწვევები, რაც ფონდს აქვს თითოეული ზემოთ აღნიშნული მიმართულებით მუშაობისას და ასევე, ამ გამოწვევების გადალახვის სტრატეგია.

კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ანგარიშის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ეხება აღნიშნულ ოქმთან; კერძოდ, ანგარიშის პროექტის თანახმად, ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ'' საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები იმ რეკომენდაციების შესაბამისად, რომელიც გასცეს GRETA–ს ექსპერტთა ჯგუფმა 2012 წლის აპრილში. კონკრეტულად კი კანონში დამატებული ახალი თავი ეხება მსხვერპლი ბავშვების სოციალურ და სამართლებრივ დაცვას, დახმარებას და რეაბილიტაციას. 2014 წლის მაისში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონმდებლობაში წარდგენილ ცვლილებებში ტერმინი „ექსპლუატაცია“ უფრო კარგად არის განმარტებული. საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 253(2) ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არასრულწლოვანის პროსტიტუციაში ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით, ჩაბმისაგან სარგებლის მიღებისთვის.

ხუთიდან შვიდ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი იურიდიული პირის მიერ ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით. ვფიქრობთ, ამ მოწვევის პარლამენტი, საჭიროების შესაბამისად, კვლავ გადასინჯავს საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ამ ოქმთან შესაბამისობის კუთხით და ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისა და პრაქტიკოსების ჩართულობას.

ანგარიშის პროექტში მითითებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები არის: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ზომები საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით; ინტერნეტის საშუალებით ბავშვზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ "გლობალური ალიანსის" დეკლარაციის ხელისმოწერა, 2014 წლის თებერვალში ორმხრივი შეთანხმების გაფორმება ინტერპოლის ეროვნულ ბიუროსა და დაკარგული და ექსპლუატირებული ბავშვების ეროვნულ ცენტრს შორის და სხვ.

ანგარიშში, ასევე, ვრცელი ადგილი ეთმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით : სკოლის მოსწავლეების ინფორმირება ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციის შესახებ, ადამიანის უფლებების სწავლება და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება.

ამასთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი სახის შენიშვნა: ვფიქრობთ, ძალიან დასაფასებელია და ღირებულია ყველა ის პროექტი, რაც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ; თუმცა, ამასთან აუცილებელია, შეფასდეს და გაანალიზდეს აქამდე ჩატარებული სწავლებების/ საინფორმაციო კამპანიის შედეგები, კერძოდ, მათი გავლენა ბავშვთა პროსტიტუციის, ვაჭრობისა და პორნოგრაფიის პრევენციასა და სტატისტიკის შემცირებაზე. ეს შესაძლებლობას მისცემს ხელისუფლებას, გადახედოს თავის სტრატეგიას და შესაბამისად იმოქმედოს.

წარმოდგენილი ანგარიშების პროექტებთან დაკავშირებით, დამატებით, გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

1. სასურველია, ანგარიშში მიეთითოს, რომ საქართველოს პარლამენტმა **2016** წლის 1 დეკემბერს მიიღო „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვას. კანონის მე-12 მუხლის თანახმად, თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვის დროს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს ენიჭება უპირატესობა. კერძოდ, მე-12 მუხლის თანახმად: არასრულწლოვანი საუკეთესო ინტერესი გულისხმობს: „ არასრულწლოვანის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ინტერესებს, რომლებიც

ხუთიდან შვიდ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი იურიდიული პირის მიერ ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით. ვფიქრობთ, ამ მოწვევის პარლამენტი, საჭიროების შესაბამისად, კვლავ გადასინჯავს საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ამ ოქმთან შესაბამისობის კუთხით და ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისა და პრაქტიკოსების ჩართულობას.

ანგარიშის პროექტში მითითებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები არის: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ზომები საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით; ინტერნეტის საშუალებით ბავშვზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ "გლობალური ალიანსის" დეკლარაციის ხელისმოწერა, 2014 წლის თებერვალში ორმხრივი შეთანხმების გაფორმება ინტერპოლის ეროვნულ ბიუროსა და დაკარგული და ექსპლუატირებული ბავშვების ეროვნულ ცენტრს შორის და სხვ.

ანგარიშში, ასევე, ვრცელი ადგილი ეთმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით : სკოლის მოსწავლეების ინფორმირება ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციის შესახებ, ადამიანის უფლებების სწავლება და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება.

ამასთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი სახის შენიშვნა: ვფიქრობთ, ძალიან დასაფასებელია და ღირებულია ყველა ის პროექტი, რაც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ; თუმცა, ამასთან აუცილებელია, შეფასდეს და გაანალიზდეს აქამდე ჩატარებული სწავლებების/ საინფორმაციო კამპანიის შედეგები, კერძოდ, მათი გავლენა ბავშვთა პროსტიტუციის, ვაჭრობისა და პორნოგრაფიის პრევენციასა და სტატისტიკის შემცირებაზე. ეს შესაძლებლობას მისცემს ხელისუფლებას, გადახედოს თავის სტრატეგიას და შესაბამისად იმოქმედოს.

წარმოდგენილი ანგარიშების პროექტებთან დაკავშირებით, დამატებით, გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

1. სასურველია, ანგარიშში მიეთითოს, რომ საქართველოს პარლამენტმა **2016** წლის 1 დეკემბერს მიიღო „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვას. კანონის მე-12 მუხლის თანახმად, თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვის დროს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს ენიჭება უპირატესობა. კერძოდ, მე-12 მუხლის თანახმად: არასრულწლოვანი საუკეთესო ინტერესი გულისხმობს: „ არასრულწლოვანის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ინტერესებს, რომლებიც

საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლის შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება და შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის „ბავშვის უფლებათა კონვენციას";

2. ასევე, მიზანშეწონილია, ანგარიშში აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია და საკომიტეტო მოსმენებზე მხარდაჭერილია საქართველოს კანონის პროექტი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ", რაც ბავშვის უფლებების დასაცავად წინ გადადგმული ნაბიჯია. საკანონმდებლო პაკეტი ადგენს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის წესსა და პირობებს, ასევე, ბავშვის წარმოშობისა და მიმღებ სახელმწიფოებს შორის განისაზღვრება შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურები და ამ პროცედურების განმახორციელებელი ორგანოები; ასევე, რეგულირდება შვილად აყვანასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი საკითხები. ვფიქრობთ, ამ კანონის მითითება თემატურად რელევანტურია ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის თაობაზე დამატებითი ოქმის აღსრულების ანგარიშში, ვინაიდან მოიცავს ბავშვით ვაჭრობის წინააღმდეგ მნიშვნელოვან მექანიზმებს.
3. ასევე, მიზანშეწონილია, აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლში შევიდა ცვლილება; კერძოდ, საქართველოში ნაადრევი ქორწინებები 18 წლამდე გამოცხადდა უკანონოდ. ცვლილების მიხედვით, ქორწინების მინიმალურ ასაკად ნაცვლად 16 წლისა განისაზღვრა 18 წელი. ცვლილება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან. ვფიქრობთ, ეს წინგადადგმული ნაბიჯია ადრეულ ქორწინების პრევენციისა და აღკვეთის თვალსაზრისით.

კომიტეტი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის" დამატებითი ოქმისა და „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის თაობაზე ბავშვის უფლებათა კონვენციის" დამატებითი ოქმების საქართველოს მიერ იმპლემენტაციის შესახებ პირველადი ანგარიშის პროექტებს;

კომიტეტი პოზიტიურად აფასებს დღეისათვის განხორციელებულ ზომებს აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების იმპლემენტაციის მიზნით და მოუწოდებს პასუხისმგებელ უწყებებს, არსებული გამოწვევების საპასუხოდ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გააგრძელონ ეფექტური და ნაყოფიერი მუშაობა დაწყებული მიმართულებებით.

პატივისცემით
ეკა ბესელია
კომიტეტის თავმჯდომარე